საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში

უმაღლესი ლიგა

სსრ კავშირის 1989 წლის ჩემპიონატი დასასრულს მიუახლოვდა. ჩასატარებელია სულ ორი ტურის შეხვედრები, სწორედ ახლა, გათამაშების ფინიშზე გამოვლინდებიან ჩემპიონიც, პრიზიორებიც და ის აუტსაიდერებიც, რომლებსაც საგაისოდ უმაღლესი ლიგის დატოვება მოუწევთ.

"ლოკომოტივი (მოსკოვი" – "დინამო" (თბილისი) 2:1 (1:1) მოსკოვი, "ლოკომოტივის" სტადიონი 14 ოქტომბერი.

"ლოკომოტივი", იურკუსი, ნესტეროვი, არიფულინი, მილეშკინი, კალაიჩევი, გორკოვი (ბყოდაკი, 87), ბულანოვა, გალაკბეროვი (ჟიდკოვი 68), ძაიბაკოვი, რუსიაევი, ფედინი.

"დინამო", ხაპოვი, კეტაშვილი, ჯიშკარიანი, ჭედია, ჩიქოვანი, რევიშვილი, სვანაძე, ცვეიბა, ქეცბაია, კაჭარავა, გოგიჩაიშვილი.

გააფრთხილეს ჭელია, ნესტეროვი, გორკოვი.

მსაჯი ი. მილიაუსკასი (ალიტუსი).

დუბლიორები – 0:1.

ბურთი გაიტანა ცხადაძემ.

ზედმეტად მიგვაჩნია იმის ლაპარაკი, თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა მატჩის შედეგს ორივე გუნდისთვის, ორი აუტსაიდერი ერთმანეთს შეხვდა ამ მეტად მნიშვნელოვან, პრინციპულ მატჩში... 1500 მაყურებლის წინაშე, ის დრო, როცა თბილისის "დინამოსა" და მოსკოვის "ლოკომოტივის" თამაში გაცილებით მეტ მაყურებელს უყრიდა თავს ტრიბუნებზე, წარსულს ჩაბარდა და 1 ლიგაში ჩამოქვეითების კანდიდატთა ერთმანეთთან ანგარიშსწორება ახლა, ეტყობა, გულშემატკივართა ვიწრო, ძალიან ვიწრო წრეს თუ აინტერესებს.

მაგრამ მაყურებლისთვის თუ არა, უშუალოდ გუნდებისთვის კი მატჩის შედეგს უდიდესი პრაქტიკული მნიშვნელობა ჰქონდა, და იმ სიტუაციაში, როცა უკან დასახევი ნაბიჯის გადადგმის უფლება მეტოქეთაგან არც ერთს არ ჰქონდა, ლოკომოტიველებმა გამარჯვებისადმი მეტი სწრაფვა და ნებისყოფა გამოიჩინეს, რაც შეეხება თბილისის "დინამოს", მან წლევანდელ სეზონში, და არა მარტო წლევანდელ სეზონში, კიდევ ერთხელ გააწბილა თავისი გულშემატკივრები, თანაც ეს მოხდა ისეთ სიტუაციაში, როცა გუნდს სრული შესაძლებლობა ჰქონდა თუნდაც ერთი ქულა აეღო. თბილისელები მატჩის დასაწყისშივე დაწინაურდნენ, შემდეგ თამაშის ფრედ დამთავრებაც შეიძლებოდა, მაგრამ პასიურმა დაცვითმა სისტემამ და ანგარიშის შენარჩუნებისადმი სწრაფვამ ის შედეგი გამოიღო, რომ წლეულს, უკვე მერამდენედ ვაგებთ თამაშს, გაიხსენეთ წინა შეხვედრები დუშანბეს "პამირთან", მოსკოვის "ტორპედოსთან", ხარკოვის "მეტალისტთან"...

ძნელია "ლოკომოტივთან" თამაშს ტაქტიკურად გამართული აწყობილი და ზუსტად დაგეგმილი უწოდო. ორივე გუნდის მოთამაშეები მეტწილად ინდივიდუალური, ხშირი შეტაკებებით გამოირჩეოდნენ. ინიშნებოდა ჯარიმები, წამდაუწუმ იკარგებოდა ბურთი, მეტისმეტი ნერვიულობა და დაძაბულობა ცხადად იგრძნობოდა მატჩის თითქმის ყველა ეპიზოდში. ეტყობა, ასე ხდება, როცა ორი ჩამორჩენილი გუნდი ებრძვის ერთმანეთს თავის გადასარჩენად და მატჩის ანგარიშსაც გაცილებით, განუზომლად მეტი მნიშვნელობა ენიჭება, ვიდრე თვით უშუალოდ თამაშს, მის სპორტულ მზერას.

და მაინც, ვფიქრობთ, დინამოელთა რიგებში მეტი თვითდარწმუნება, მეტი დამაჯერებლობა უნდა შეეტანა იმ გოლს, რომელიც საკმაოდ ადრე, მე–18 წუთზე გაიტანა ქეცბაიამ: მეკარე იურკუსმა მოიგერია ძლიერი დარტყმა, ბურთს ყველაზე ადრე ქეცბაიამ მიუსწრო და ანგარიშიც გაიხსნა 1:0.

გოლი საკუთარ კარში "ლოკომოტივისათვის" კატასტროფას ნიშნავდა. ამიტომაც მასპინძლებმა სასწრაფოდ მოახდინეს მთელი თავიანთი ძალების მობილიზება, იბრძოლეს ანგარიშის გასათანაბრებლად და 35–ე წუთზე მიზანსაც მიაღწიეს: თბილისელთა კარში დაინიშნა საჯარიმო, ბულანოევმა ძალზე ზუსტად, ძლიერად დაარტყა მაღალ კუთხეში – 1:1.

სწორედ აქ იყო საჭირო ხასიათის სიმტკიცის გამოჩენა, თავდაუზოგავი ბრძოლა საიმისოდ, რომ მოსკოველები ამ ერთი საპასუხო გოლის დაკმაყოფილებულიყვნენ, მაგრამ დინამოელებმა ეს ვერ შეძლეს, ინიციატივა დათმეს, მათს ხშირ შეცდომებს საბოლოოდ ის მოყვა, რომ მოსკოველებმა თავიანთი მრავალი იერიშიდან ერთ–ერთი წარმატებით დაამთავრეს და ეს მოხდა თამაშის დამთავრებამდე 6 წუთით ადრე. თბილისელთა კარის სიახლოვეს თავით კარგად ითამაშა რიბაკოვმა, "ლოკომოტივმა" ყველაფერი გააკეთა თამაშის მოსაგებად და ის 2 ქულა ჩაიწერა, რომელიც მას ჰაერივით ესაჭიროებოდა.

იყო ერთი შემთხვევა, როცა "ლოკომოტივის" საჯარიმო მოედანზე მყოფმა კაჭარავამ სულ ახლო მანძილიდან ძელს მოახვედრა ბურთი.

თბილისის "დინამოს" ხელმძღვანელობამ და თითოეულმა ფეხბურთელმა კარგად უნდა შეიგნოს, რომ ახლა, განსაკუთრებით ახლა, საქმე ეხება ერის სპორტულ პრესტიჟს, ქართული სპორტის ავკარგს. კოლექტივი ვალდებულია ყველაფერი გააკეთოს წარსული დიდების აღსადგენად, ჯერჯერობით კი დინამოელთა მხრივ ვხედავთ მხოლოდ მდგომარეობის გამოსწორების უუნარო, მორიდებულ, უბადრუკ ცდებს, თბილისის "დინამოს" ჯერჯერობით მხოლოდ წყენა, გაწბილება და უსიამოვნება მოაქვს გულშემატკივრებისთვის

”ლელო” 17 ოქტომბერი 1989 წ.